სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება:

ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება.
Program title: Child and Adolescent Psychological Assessment and Counseling.

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: ლუიზა არუთინოვი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ ასოცირებული პროფესორი; თეონა ლოდია, ფსიქოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ან სპეციალისტის დიპლომი ფსიქოლოგიაში;
- სამუშაო გამოცდილება არ არის აუცილებელი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- სტანდარტული საგანაცხადო ფორმის შევსება საუნივერსიტეტო მოთხოვნების შესაბამისად;
- მისაღები გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში „განვითარების ფსიქოლოგია“;
- გასაუბრება ერთ–ერთ უცხოურ ენაში – ინგლისურში ან გარმანულში;
- სამოტივაციო წერილი;

გამოცდის ფორმატი და საბოლოო ქულის გამოყვანის სტრუქტურა:

- წერითი გამოცდა სპეციალობაში – 60% (გამოცდის ხანგრძლივობა 4 სთ.)
- გასაუბრება უცხოურ ენაში – ფსიქოლოგიური ტექსტის წაკითხვა და თარგმნა; საუბრის წარმართვა არჩეულ უცხოურ ენაზე – 30%
- სამოტავაციო წერილი –10%

სამოტივაციო წერილში წარმოდგენილი უნდა იყოს არგუმენტირებული მსჯელობა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. რამ განაპირობა თქვენ მიერ ამ სამაგისტრო პროგრამის არჩევა, რითი დაგაინტერესათ ამ პროგრამამ.

2. მიუთითეთ თქვენი აკადემიური თუ პროფესიული მიღწევები, რომლებიც შეესაბამება მოცემული სამაგისტრო პროგრამის შინაარსსა და მოთხოვნებს. კონკრეტულად მიუთითეთ თქვენ მიერ გავლილი ის დისციპლინები, რომლებიც, თქვენი აზრით, დაგეხმარებათ პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსების ეფექტურად ათვისებაში.

3. როგორ გესახებათ ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამოყენების პერსპექტივები თქვენს მომავალ პროფესიულ საქმიანობაში.

საგამოცდო საკითხები

სახელმძღვანელო:

ვენდი ლ.დანი - გრეის ჯ.კრაიგი. (2019) ადამიანის განვითარება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
( სახელმძღვანელო შეგიძლიათ მოიძიოთ თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში)

(საკითხების შესატყვისი გვერდები მითითებული იქნება ამ სახელმძღვანელოს შესატყვისი ნომრების მიხედვით)

1. განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში; საკვანძო თემები ადამიანის განვითარების შესახებ; განვითარების სფეროები. გვ. 1-11
2. თეორიული ჩარჩოები ადამიანის განვითარების შესასწავლად: ბიოლოგიური თეორიები; ფსიქოდინამიკური თეორიები; ბიჰევიორისტული თეორიები; კოგნიტური თეორიები. გვ. 11-26.
3. მეცნიერული მიდგომა ადამიანის განვითარების შესასწავლად. გვ.26-39
4. ფიზიკური, კოგნიტური და მეტყველების განვითარება ჩვილობასა და ახალფეხადგმულობაში. გვ. 125-167.
5. პიროვნება და სოციოკულტურული განვითარება ჩვილობასა და ახალფეხადგმულობაში. გვ.168-204
6. ფიზიკური, კოგნიტური და მეტყველების განვითარება ადრეულ ბავშვობაში. გვ.205-242
7. პიროვნება და სოციოკულტურული განვითარება ადრეულ ბავშვობაში. გვ.243-291
8. ფიზიკური, კოგნიტური და მეტყველების განვითარება შუა ბავშვობაში. გვ.292-336.
9. პიროვნება და სოციოკულტურული განვითარება შუა ბავშვობაში. გვ.337-370.
10. ფიზიკური და კოგნიტური განვითარება მოზარდობაში. გვ. 371-407.
11. პიროვნება და სოციოკულტურული განვითარება მოზარდობაში. გვ.408-447.